



3540/3-74/22 2 18042022



3540/3-74/22

18-04-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ წლების მიხედვით შემდეგი მონაცემები, 2020 და 2021 წლებში:

1. განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით, რამდენ ბრალდებულს/მსჯავრდებულს მიეცა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების უფლება (მოთხოვნილ მონაცემებში წლების მიხედვით ცალ-ცალკე მიეთითოს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა, ასაკი (სრულწლოვანი/არასრულწლოვანი) და სქესი).
2. რამდენმა მსჯავრდებულმა ისარგებლა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით და რა იყო დაწესებულების დატოვების ხანგრძლივობის წლიური საშუალო მაჩვენებელი (მოთხოვნილ მონაცემებში წლების მიხედვით ცალ-ცალკე მიეთითოს მსჯავრდებულთა რაოდენობა, ასაკი (სრულწლოვანი/არასრულწლოვანი) და სქესი).
3. წახალისების ფორმად რამდენი მსჯავრდებულის მიმართ იქნა გამოყენებული დაწესებულების გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლის უფლების მიცემა (მოთხოვნილ მონაცემებში წლების მიხედვით ცალ-ცალკე მიეთითოს მსჯავრდებულთა რაოდენობა, ასაკი (სრულწლოვანი/არასრულწლოვანი) და სქესი).
4. გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულების მიერ 1 კვირის განმავლობაში დაწესებულების დატოვების ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი (მოთხოვნილ მონაცემებში წლების მიხედვით ცალ-ცალკე მიეთითოს საშუალო მაჩვენებელი).
5. ქალ მსჯავრდებულთა მიერ საოჯახო პაემნებით სარგებლობის სტატისტიკა (მოთხოვნილ მონაცემებში წლების მიხედვით ცალ-ცალკე მიეთითოს თუ რამდენმა ქალმა მსჯავრდებულმა ისარგებლა საოჯახო პაემნით და რამდენჯერ თითოეულ წელს, მათ შორის რამდენი იყო გამოყენებული წახალისების ფორმად).

პარლამენტის წევრი  
გივი მიქანაძე